# მოგება ზარალი

ორგანიზაცია: შპს რითილ თრეიდ ჯორჯია. ს/კ 405126279 01.01.18 - 31.12.18

| | |
|---|---|
| **ჩვეულებრივი საქმიანობის სახეობათა შემოსავლები და ხარჯები** | |
| საქონლის, მომსახურების, სამუშაოს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი | 8 675 748,98 |
| საქონლის, სამუშაოების, მომსახურების გაყიდვების თვითღირებულება | 6 167 395,32 |
| **საერთო მოგება** | **2 508 353,66** |
| ორიები ხარჯები | 1 539 776,81 |
| **მოგება (ზარალი) გაყიდვებიდან** | **968 576,85** |
| **სხვა შემოსავლები და ხარჯები** | |
| სხვა შემოსავლები | 6 917 167,57 |
| სხვა ხარჯები | 7 127 723,89 |
| **მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე** | **739 431,32** |
| მოგების გადასახადი | |
| **წმინდა მოგება (ზარალი)** | **739 431,32** |

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: მაკა მელაშვილი

თბილისი, საქართველო

RTG
405126279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

**შპს რითეილ თრეიდ ჯორჯიას (ს/ნ 405126279) ბალანსი. 2018 წელი.**

| | 01.01.2018 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| **აქტივი** | **2 161 907,23** | **2 612 496,82** |
| **I. ქონება** | **285 436,63** | **209 320,88** |
| ქონება | 285 436,63 | 209 320,88 |
| სხვა ქონება | | |
| **II. მიმდინარე აქტივები** | **1 876 470,60** | **2 403 175,94** |
| მარაგები, მათ შორის: | 629 199,65 | 938 347,95 |
| 1610 საქონელი | 596 874,10 | 850 048,40 |
| 1620 ნედლეული და მასალები | 29 852,63 | 85 826,63 |
| 1690 ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შესვლამდე | 2 472,92 | 2 472,92 |
| სესხები და კრედიტები | | -300,00 |
| დებიტორული დავალიანება, მათ შორის: | 495 277,30 | 975 795,05 |
| 1455 მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ სხვა მოთხოვნები | | -3 200,00 |
| 1480 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 120 204,42 | 414 319,83 |
| 3340/01 მისაღები დღგ | 276 965,88 | 466 568,22 |
| 3340/02 ჩასათვლელი დღგ | 10,00 | 10,00 |
| 3340/03 ჩასათვლელი უკუდაბეგვრის დღგ | -10,00 | -10,00 |
| 3340/04 წინასწარი ჩათვლა (იმპორტის დღგ) | 16 411,00 | 16 411,00 |
| 3340/05 ჩათვლილი იმპორტის დღგ | 81 696,00 | 81 696,00 |
| მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები | | |
| ფულადი სახსრები | 751 993,65 | 489 332,94 |
| 1110.2.1 სეიფი | 8 143,32 | 7 138,94 |
| 1110.2.2 სალაროები | 1 200,00 | 1 200,00 |
| 1110.3.1 სეიფი | 15 580,38 | 32 811,29 |
| 1110.3.2. სალაროები | 1 215,00 | 1 210,36 |
| 1110/912 | -19,33 | 17,71 |
| 1110/913 | 88,03 | |
| 1110/914 | 207,00 | 30,00 |
| 1110/915 | 70,70 | 2,50 |
| 1200 ფული საბანკო ანგარიშებზე | 592 391,92 | 97 551,57 |
| 1215 ფული გზაში | 84 430,00 | 104 915,00 |
| 1220 საბანკო აგარიშები უცხოურ ვალუტაში | 7 105,36 | 199 152,01 |
| 1290 სატრანზიტო ანგარიშზე | 7 294,33 | 9 916,62 |
| 1430 მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 34 286,94 | 35 386,94 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | |
| **პასივი** | **2 161 907,23** | **2 612 496,82** |
| **III. კაპიტალი და რეზერვები** | **-1 030 864,20** | **-291 432,88** |
| კაპიტალი | | |
| სარეზერვო და დამატებითი კაპიტალი | | |
| გაუნაწილებელი მოგება | -1 030 864,20 | -291 432,88 |
| **IV. გრძელვადიანი ვალდებულებები** | **1 728 969,46** | **1 664 472,94** |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | 1 728 969,46 | 1 664 472,94 |
| **V. მიმდინარე ვალდებულებები** | **1 463 801,97** | **1 239 456,76** |
| სესხები და კრედიტები | 22 189,40 | 21 289,40 |
| კრედიტორული დავალიანება, მათ შორის: | 1 441 612,57 | 1 218 167,36 |
| 3110 მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები | 1 257 155,14 | 1 266 986,40 |
| 3120 მიღებული ავანსები | 2 411,00 | 124 291,40 |
| 3130 გადასახდელი ხელფასები | 4 586,67 | -16 765,43 |
| 3160 ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე | 29,00 | 29,00 |
| 3301 ერთიანი ანგარიში | | -32 300,00 |
| 3320/01 დარიცხული საშემოსავლო გადასახადი (რეზიდენტები) | 35 007,92 | -12 525,53 |
| 3320/02 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი (რეზიდენტები) | -13 378,96 | 90 466,07 |
| 3325/01 დარიცხული საშემოსავლო გადასახადი (არარეზიდენტები) | 4 634,99 | 5 715,85 |
| 3325/02 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი (არარეზიდენტები | 17 030,95 | 38 641,61 |
| 3330/01 დარიცხული დღგ (რეალიზაციიდან) | 1 031 323,07 | 2 285 947,61 |
| 3330/02 უკუდაბეგვრის დღგ (დარიცხვა) | | -10 067,58 |

შპს "რითეილ თრეიდ ჯორჯია" RTG 405126279 "RETIAL TRADE GEORGIA" LTD

| | | |
|---|---|---|
| 3330/03 იმპორტის დღგ (დარიცხვა) | -841 117,14 | -2 466 181,97 |
| 3370/01 დარიცხული იმპორტის გადასახადი | -47 037,07 | -47 037,07 |
| 3370/02 იმპორტის გადასახადი დროებითი შემოტანისას | -9 033,00 | -9 033,00 |

**ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი:** მაკა მელაშვილი

**თბილისი, საქართველო**

RTG
405126279
"RETIAL TRADE GEORGIA" LTD

## შპს "რითეილ თრეის ჯორჯიას" ფულის მომზადების უწყისი. 2018 წლის.

| ვალუტა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თანხა | | | | | თანხა(ვალუტ) |
| მოხლი | საწ.ნაშთი | შემოსვლა | გასავალი | საბ.ნაშთი | საწყ.ნაშთი | შემოსვლა | გასავალი | საბ.ნაშთი. |
| ევრო | | 556 276,22 | 362 859,92 | 193 416,30 | | 182 668,00 | 119 668,00 | 63 000,00 |
| ბანკის საკომისიო | | | 271,09 | | | | 90,00 | |
| კონვერტაცია | | 44 040,12 | | | | 14 623,00 | | |
| ბრენდის ნიშანი | | | 209 456,54 | | | | 69 533,00 | |
| მომწოდებელთან | | | 152 000,00 | | | | 50 000,00 | |
| უარყოფითი საკურსო სხვაობა | | | 995,49 | | | | | |
| დადებითი საკურსო სხვაობა | | 11 552,60 | | | | | | |
| სხვა | | 500 683,50 | 136,80 | | | 168 045,00 | 45,00 | |
| ლარი | 700 908,41 | 31 750 434,02 | 32 208 859,03 | 242 483,40 | 700 908,41 | 31 748 256,06 | 32 206 681,07 | 242 483,40 |
| ავტომანქანის იჯარა | | | 600,00 | | | | 600,00 | |
| იჯარა ვარკეთილი | | | 108 681,66 | | | | 108 681,66 | |
| იჯარა ვაგზალი | | | 107 037,60 | | | | 107 037,60 | |
| იჯარა საწყობი | | | 3 114,42 | | | | 3 114,42 | |
| იჯარა გლდანი | | | 89 068,05 | | | | 89 068,05 | |
| (საწყობის მომსახურება(დაცლა-დატვირთვა და სხვა)) | | | 1 200,00 | | | | 1 200,00 | |
| ბინის ქირა | | | 9 760,00 | | | | 9 760,00 | |
| იჯარა რუსთავი | | | 114 555,25 | | | | 114 555,25 | |
| იჯარა გლდანი | | | 10 018,81 | | | | 10 018,81 | |
| ლილოს საწყობის იჯარა | | | 408,60 | | | | 408,60 | |
| დაცვა | | | 4 343,68 | | | | 4 343,68 | |
| ბანკის საკომისიო | | | 17 848,73 | | | | 17 848,73 | |
| საბროკერო მომსახურება | | | 48 700,00 | | | | 48 700,00 | |
| ვალის დაბრუნება | | 300,00 | | | | 300,00 | | |
| ბუნებრივი აირი ავტომანქანის | | | 800,00 | | | | 800,00 | |
| (სადეზინფექციო მომსახურება) | | | 5 640,00 | | | | 5 640,00 | |
| ელექტრიკი | | | 258,00 | | | | 258,00 | |
| ხელფასი | | | 130 319,13 | | | | 130 319,13 | |
| ინვენტარი თბილიის საწყობის | | | 696,00 | | | | 696,00 | |
| ინტერნეტი | | | 2 973,00 | | | | 2 973,00 | |
| ინტერნეტი თბილისის | | | 101,26 | | | | 101,26 | |
| საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯები | | | 26 601,93 | | | | 26 601,93 | |
| კომუნალური ვაგზალის მაღაზია | | | 23 287,86 | | | | 23 287,86 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კომუნალური ვარკეთილის მაღაზია | | 9 757,12 | | 9 757,12 |
| კომუნალური გლდანის მაღაზია | | 9 161,49 | | 9 161,49 |
| კომუნალური ბინის | | 1 633,02 | | 1 633,02 |
| კომუნალური რუსთავი | | 8 237,40 | | 8 237,40 |
| კომუნალური საწყობი | | 533,80 | | 533,80 |
| კომუნიკაციის ხარჯი | | 900,00 | | 900,00 |
| კომპიუტერის, პრინტერის და სხვათა რემონტი. | | 1 715,00 | | 1 715,00 |
| კონვერტაცია | | 2 083 320,45 | | 2 083 320,45 |
| კონვერტაცია | | 3 097 076,43 | | 3 097 076,43 |
| რუსთავის მერია | | 367,20 | | 367,20 |
| კამერების მონტაჟი | | 370,00 | | 370,00 |
| ბიუჯეტის გადასახადები | | 1 117,60 | | 1 117,60 |
| იმპორტის გადასახადი | | 127 417,48 | | 127 417,48 |
| საბაჟოზე გადასახდელი | | 698 280,92 | | 698 280,92 |
| გადასახადები | | | | |
| დღგ გადასახადი | | 42 279,00 | | 42 279,00 |
| საშემოსავლოს გადასახადი | | 27 303,43 | | 27 303,43 |
| გადახდილი დღგ | | 37 460,00 | | 37 460,00 |
| სივრცის მომსახურეობა | | 16 221,63 | | 16 221,63 |
| დაცვის ომსახურეობა | | 1 062,00 | | 1 062,00 |
| სერვერის მომსახურეობა | | 900,00 | | 900,00 |
| გეზის მომსახურეობა | | 59 102,40 | | 59 102,40 |
| მყიდველების გადახდილი | 8 411 392,37 | | 8 411 392,37 | |
| მომწოდებლების გადახდილი | 800 305,00 | 1 158 516,43 | 800 305,00 | 1 158 516,43 |
| უარყოფითი საკურსო სხვაობა | | 2 177,96 | | |
| ფულის გადაადგილება | 22 516 721,19 | 20 721 912,03 | 22 516 721,19 | 20 721 912,03 |
| გადახდილი საშემოსავლო | | 8 695,96 | | 8 695,96 |
| პარკირება | | 15,00 | | 15,00 |
| წარმომდგენლობითი ხარჯები | | 890,00 | | 890,00 |
| (წარმომადგენლობითი ხარჯი | | 7 401,47 | | 7 401,47 |
| სხვა ხარჯები | 21 715,46 | 2 949 765,26 | 19 537,50 | 2 949 765,26 |
| ტრაილერის დაცლა და სხვა | | 9 007,70 | | 9 007,70 |

RTG
405176279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაილერის დაცლა-დატვირთვა და სხვა | | | 2 100,00 | | | | 2 100,00 | |
| საკონსულტაციო, პროექტირება და სხვა ხარჯები | | | 162,00 | | | | 162,00 | |
| რეესტრის, ნოტარიუსის, თარგმანის და სხვა ხარჯები | | | 381,00 | | | | 381,00 | |
| რეკლამა | | | 36 821,33 | | | | 36 821,33 | |
| გეზის მომსახურება | | | 15 775,00 | | | | 15 775,00 | |
| მოწოდებული საქონლის ღირებულება არარეზიდენტები | | | 180,00 | | | | 180,00 | |
| დაზღვევა | | | 6 228,88 | | | | 6 228,88 | |
| ტაქსი | | | 578,00 | | | | 578,00 | |
| ტექნიკური მხარდაჭერა | | | 5 050,00 | | | | 5 050,00 | |
| საწვავი | | | 3 438,00 | | | | 3 438,00 | |
| საქონლის ტრანსპორტირება | | | 264 076,88 | | | | 264 076,88 | |
| თანამშრომლების | | | 895,00 | | | | 895,00 | |
| დაცვის მომსახურება | | | 419,28 | | | | 419,28 | |
| უტილიზაცია | | | 3 553,00 | | | | 3 553,00 | |
| სამეურნეო ხარჯები | | | 12 433,80 | | | | 12 433,80 | |
| იურიდიული, აუდიტორული მომსახურება | | | 500,00 | | | | 500,00 | |
| დაცლა-დატვირთვა | | | 5 515,00 | | | | 5 515,00 | |
| ელექტროობის ხარჯები | | | 469,50 | | | | 469,50 | |
| თანამშრომლების დაზღვევა | | | 60,00 | | | | 60,00 | |
| კომპიუტერის ხარჯები | | | 845,00 | | | | 845,00 | |
| ლოჯისტიკის ხარჯი | | | 26 264,50 | | | | 26 264,50 | |
| საკასო აპარატის მომსახურეობა | | | 540,00 | | | | 540,00 | |
| სტელაჟების აწყობა | | | 33 960,70 | | | | 33 960,70 | |
| რუბლი | 852,87 | 6 111 621,59 | 6 111 856,52 | 617,94 | 18 980,08 | 150 410 543,13 | 150 413 509,59 | 16 013,62 |
| ბანკის საკომისიო | | | 6 474,20 | | | | 161 653,84 | |
| საბროკერო მომსახურეობა | | | 100 027,09 | | | | 2 519 850,00 | |
| კონვერტაცია | | 1 852 647,05 | 44 890,32 | | | 44,102 362,74 | 1 144 373,00 | |
| მიღებული სესხი ფიზიკური პირისგან | | | 16 573,20 | | | | 400 000,00 | |
| გეზის მომსახურეობა | | | 160 489,49 | | | | 4 084 533,91 | |
| მყიდველების გადახდილი | | 116 560,40 | | | | 2 950 000,00 | | |
| მომწოდებლების გადახდილი | | | 2 027 340,42 | | | | 49 227 524,03 | |

RTG
405126279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უარყოფითი საკურსო სხვაობა | | | 4 534,20 | | | | | |
| დადებითი საკურსო სხვაობა | | 1 017,80 | | | | | | |
| სხვა | | 4 141 396,34 | 2 170,33 | | | 103 358 180,39 | 53 645,52 | |
| მოწოდებული საქონლის ღირებულება არარეზიდენტები | | | 3 704 983,65 | | | | 91 793 454,29 | |
| აიჯი მომსახურება/ ИТ | | | 44 373,62 | | | | 1 028 475,00 | |
| დოლარი | 6 252,49 | 754,48 | 1 889,20 | 5 117,77 | 2 412,04 | | 500,00 | 1 912,04 |
| უარყოფითი საკურსო სხვაობა | | | 559,50 | | | | | |
| დადებითი საკურსო სხვაობა | | 754,48 | | | | | | |
| სხვა | | | 1 329,70 | | | | 500,00 | |
| **სულ** | **708 013,77** | **38 419 086,31** | **38 685 464,67** | **441 635,41** | | | | |

**ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: მაკა მელაშვილი**

RTG
405126279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

**შპს „რითეილ თრეიდ ჯორჯია“**

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „რითეილ თრეიდ ჯორჯია“
RTG
405126279
"RETIAL TRADE GEORGIA" LTD

**ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინასური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შპს „რითეილ თრეიდ ჯორჯია"-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქცინირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქცინირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „რითეილ თრეიდ ჯორჯია" ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2019 წლის 15 აგვისტო

**ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: მაკა მელაშვილი**

**15 აგვისტო 2019**

**თბილისი, საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „რითეილ თრეიდ ჯორჯია“ (შემდგომში -"საზოგადოება") დაფუძნდა 2015 წლის 26 ნოემბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 405126279. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ.კარტოზიას ქ. N8,კორპ.5, ბ.89.

შპს „რითეილ თრეიდ ჯორჯია“ საქმიანობის სფეროა, საცალო ვაჭრობა.

2.მომზადების საფუძვლები

**ანგარიშგების შესაბამისობა**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები

შპს „რითეილ თრეიდ ჯორჯია“ RTG 405126279 "RETIAL TRADE GEORGIA" LTD

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

მსს ფასს მე-11 განყოფილების თანახმად, საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის უნდა გამოიყენოს ამორტიზებული ღირებულების მოდელი, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ

შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები", საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის

RTG
405126279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იმისათვის, რომ საწარმომ შეაფასოს, ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულებას დასჭირდება თუ არა მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, იგი უნდა დაეყრდნოს თავდაპირველი აღიარების მომენტისთვის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს. თუ მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის მიზეზით განთავისუფლება შეეხება თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდსაც, მაგალითად მუხლის შემდგომ შეფასებას, მაშინ ამ შემდგომი თარიღისთვის ხელახლა უნდა შეფასდეს მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, მოცემული თარიღისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

საზოგადოდ, საწარმო ყველა სხვა ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს მოგებაში ან ზარალში, თუ წინამდებარე სტანდარტით არ მოითხოვება ან ნებადართული არ

არის ღირებულების განსაზღვრა სხვა საფუძვლით, მაგალითად თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

**არაფინანსური აქტივები**

არაფინანსური აქტივების უმეტესობა, რომლებსაც საწარმო თავდაპირველად პირვანდელი ღირებულებით აღიარებს, შემდგომში შეფასდება სხვა საფუძვლით.

ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი), ან გადაფასებულ ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (გადაფასების მოდელი).

მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და გაუფასურების ზარალს აღიარებს ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

RTG
405126279
"RETIAL TRADE GEORGIA" LTD

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

- მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით.

**მომავალი ეკონომიკური სარგებლის ალბათობა**

ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ ელემენტის თავდაპირველი აღიარების კრიტერიუმში ალბათობის ცნებას იყენებენ მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის დასადგენად. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოძრაობისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის შეფასება ეყრდნობა იმ მტკიცებულებებს/ინფორმაციას, რომელიც ეხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს/გარემოებებს, როდესაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად უმნიშვნელო მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის.

**აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება**

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება:

- აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისთვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი;

RTG
40512627 9
"RETIAL TRADE GEORGIA" LTD

- რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური ღირებულების შეფასება.

**შეფასება თავდაპირველი აღიარებისას**

თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება, როგორიცაა, მაგალითად რეალური ღირებულება.

**შემდგომი შეფასება**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

უმცირესი ღირებულებებით აქტივების შეფასების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივები შეფასებული არ იყოს იმაზე უფრო დიდი ღირებულებით, რა სიდიდის სარგებლის მიღებასაც მოელის საწარმო აქტივის გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

**არაფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

საწარმომ ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში აღრიცხოს ერთერთი შემდეგი მეთოდით:

თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს მოგებაში ან ზარალში; ან წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

RTG
40512627 9
"RETIAL TRADE GEORGIA" LTD

თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს მსს ფასს-ს, ამგვარ ინვესტიციას აფასებს თვითღირებულებით, მან ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის ეს ინვესტიცია უნდა შეაფასოს შემდეგი სიდიდეებიდან ერთ-ერთით:

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი"). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექმომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების თარიღისთვის გადასახდელი მიმდინარე ფასის ეკვივალენტური ოდენობით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ ძირითადი საშუალების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

RTG
405126279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

ცვეთა გამოითვლება აქტივების სავარაუდო საექსპლოატაციო ვადის შესაბამისად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით.

**ჯგუფი %**

**შენობები 5**

**ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 20**

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა დივიდენდის გაცემა.

**დაბეგვრა**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

RTG
405 176279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

**შემოსავალი**

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი .

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

**უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია**

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2017-2018 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

| | **დოლარი** | **ევრო** |
|---|---|---|
| **გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | **2.5922** | **3.1044** |

RTG
405126279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

**გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 2.6766 3.0701**

**ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები**

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა

დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);

- კანონმდებლობა; ან

- სხვა კანონიერი ქმედება.

**კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:**

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვადლდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

**სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:**

RTG
405126279
"RETIAL TRADE GEORGIA" LTD

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

- **პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:**

-შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან:

-მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და

RTG
405126279
"RETIAL TRADE GEORGIA" LTD

შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

**4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**მოგების გადასახადი**

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტრებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

RTG
405 | 26279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

**მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია** :

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს

**სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.**

**5. მსს ფასს-ზე გადასვლის განმარტება**

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის და 2017 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული საწყისი ნაშთებისთვის.

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- **საკრედიტო რისკი**
- **ლიკვიდურობის რისკი**
- **საბაზრო რისკი:**

- **სავალუტო რისკი**
- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის

RTG
405126279
RETIAL TRADE GEORGIA LTD

საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო  რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

**16 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ

RETIAL TRADE GEORGIA LTD
405126279

შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

**17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს.

**ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი:** მაკა მელაშვილი ----------

**15 აგვისტო 2019**

**თბილისი, საქართველო**

RTG
405126279
RETAIL TRADE GEORGIA LTD